ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№41

ქ. თბილისი; 3 მარტი, 2019 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო ლაცაბიძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი ს მოადგილე - მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი ს მოადგილე - თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი ს მოადგილე - სალომე ღვინეფაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს წარუდგინა, იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ბატონი სერგო მიესალმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს და მადლობა მოახსენა მოწვევისთვის. სერგო ბირკაძემ საკრებულოს თითოეული წევრის მიმართ გამოხატა მადლიერება და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საფუძვლად დაედო, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელებასა და ასევე სხვადასხვა ძირეული საკითხების გადაწყვეტას.

მომხსენებელმა ისაუბრა, 2018 წლის განმავლობაში იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და დასაწყისისთვის აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სტრუქტურა წარმოდგენილია 5(ხუთი) ძირითადი მიმართულებით, მათ შორის:

- **სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექპერტიზის განყოფილება;**
- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება;**
- **თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილება;**
- **სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება;**

- ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება;

❖ ბატონმა სერგომ დაწვრილებით ისაუბრა სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექპერტიზის განყოფილების მიერ ჩატარებულ სამუშაოზე და განაცხადა, რომ 2018 წლის განმავლობაში მომზადდა ან/და ექპერტიზა ჩაუტარდა დაახლოებით 2200-მდე სამართლებრივი აქტის (გარდა საკანონმდებლო აქტისა) პროექტს, მათ შორის:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 1565-მდე განკარგულების პროექტს;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 500-მდე ბრძანების პროექტს;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 100-მდე პროექტს;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილების/განკარგულების 35-მდე პროექტს;

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა, 2018 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე და განმარტა, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, იურიდიული საქალაქო სამსახურის აქტიური ჩართულობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია, რომლის შედეგად გადანაწილდა საქალაქო სამსახურების, ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების ფუნქციები და უფლებამოსილებები.

ბატონმა სერგომ დაწვრილებით ისაუბრა კომპანია „სი-ტი პარკის" გარშემო განვითარებულ მოვლენებზე და განმარტა, რომ, აღნიშნული საქმე არის საჯარო ინტერესის საგანი. ბატონმა სერგომ, კომპანია „სი-ტი პარკთან" შეწყვეტილი ხელშეკრულების მიზეზად, აღნიშნული კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა დაასახელა. მისივე თქმით, სწორედ იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ გამოვლენილი ხარვეზები დაედო საფუძვლად „სი-ტი პარკთან" გაფორმებული ხელშეკრულები შეწყვეტას, რომლის თანმდევი სამართლებრივი პროცესებიც, ასევე, იურიდიული საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაშია.

ბატონმა ბირკაძემ ასევე აღნიშნა, რომ 2018 წელს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსების მიზნით, არაერთ საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტთან გაფორმებული სასესხო, საგრანტო და საკონსულტაციო ხელშეკრულებების ექსპერტიზა და სამართლებრივი უზრუნველყოფა ასევე იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა.

ბატონმა ბირკაძემ ისაუბრა, ზონალური პარკირების შემოღებასთან დაკავშირებული რეგულაციების მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ იურიდიული საქალაქო სამსახურის აქტიური ჩართულობის შედეგად, აღნიშნული პროექტი დასრულებული სახით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

მომხსენებელს თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროექტების განხორციელება, მათ შორის, მოქალაქეების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული

ფართების დაკანონებისა და ასევე კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა პრობლემის მოგვარების პროცესი. იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, აღნიშნული პროექტების დოკუმენტალურ ექპერტიზას ახორციელებს იურიდიული საქალაქო სამსახური.

ბატონმა ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ 2018 წლის განმავლობაში იურიდიულმა საქალაქო სამსახურმა შეიმუშავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის მარეგულირებელი წესების პროექტები, მათ შორის, სოციალური კუთხით მარეგულირებელი ნორმები.

მომხსენებელმა ისაუბრა იურიდიული საქალაქო სამსახურის ჩართულობაზე საკანონმდებლო პროცესში და განმარტა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა **38-მდე** საკანონმდებლო აქტს, მომხსენებელმა მათ შორის გამოყო:

- **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“** ცვლილებები, რომლის მიხედვით გამკაცრდა სანქციები:

  ა) უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისათვის;
  ბ) სანებართვო პირობების დარღვევის ან/და შეუსრულებლობისათვის;
  გ) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
  დ) მშენებლობის შეჩერების შეუსრულებლობისათვის;

- **„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“** კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვით: მოსაკრებლის ოდენობა ახალ ასაშენებელ ობიექტზე გამოიანგარიშება არა განაშენიანების ფართის მიხედვით (იყო 1 ლარი), არამედ განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრის მიხედვით (იქნება არაუმეტეს 4 ლარი). ასევე, მოსაკრებელი დგინდება ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელ ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის არაუმეტეს 1 ლარისა.

- **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“** და მის თანმდევ კანონებში ცვლილები, რომელთა მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (მთავრობა) ვალდებულია დაადგინოს:

  ა)საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის მოქმედების ვადას, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს;

  ბ)დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილის ან/და სატრანსპორტო საშუალებით პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის მიწოდებისთვის/ტრანსპორტირებისთვის განსაზღვრული ადგილის ან/და დროის შესახებ წესს.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები, რომლის მიხედვით, სამართალდარღვევად ჩაითვლება:

  ა) მეორადი საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გასული სატრანსპორტო საშუალებებების და მათი ნაწილების, მარტივად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი ნივთის/ნივთიერების განთავსება ან/და რეალიზაცია საკრებულოს მიერ დადგენილი წესის დარღვევით და საკრებულოს მიერ განსაზღვრული ადგილის გარდა სხვა ადგილებში;

  ბ) ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება;

  გ) მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეებში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება;

  დ) ამტვერებადი მასალის გადაუხურავი ან/და არასათანადოდ გადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა;

  ე) ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ბეტონმზიდი მანქანიდან ბეტონის დაღვრა გზის საცალ ნაწილზე;

  ვ) შეუფუთავი ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის სამშენებლო მოედანზე ისე განთავსება, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი აღნიშნული მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილება;

  ზ) ნებართვის მქონე ტაქსის პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირება;

  თ) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილ მოძრაობის სპეციალურ ზოლში (BUS LANE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა;

  ი) ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობა, გაჩერება ან დგომა;

  კ) წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების ჯხაზე გაჩერება ან დგომა სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის, შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე;

  ლ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ელექტრო ძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირება;

  მ) დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილზე პარკირებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სამეწარმეო საქმიანობის მიზნით;

  ნ) დედაქალაქის ტერიტორიაზესატვირთოავტომობილისან/და მისაბმელის დგომა სხვა კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ პარკირების ადგილებზე.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით:

ა) უბილეთო მგზავრობის დაჯარიმებისას პერსონალური მონაცემების გამოყენებისათვის გაჩნდა საკანონმდებლო საფუძველი, რომლის მეშვეობითაც უბილეთო მგზავრობაზე დაჯარიმების უფლების მქონე სუბიექტს შესაძლებლობა ექნება ელექტრონულად ისარგებლოს (ჰქონდეს წვდომა) დამრღვევის პერსონალური მონაცემებით;

ბ) გამკაცრდა სანქციები თბილისის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში:

ა) იერსახის დამახინჯებაზე;

ბ) იერსახის თვითნებურად შეცვლაზე;

გ) სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას ტერიტორიის დაზიანებაზე;

დ) ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობაზე;

ე) გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევაზე;

ვ) შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე რეკლამის განთავსებაზე;

ზ) რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევაზე;

თ) აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევაზე;

ი) არასათანადო რეკლამის განთავსებაზე;

გ) სამართალდარღვევად განისაზღვრა:

- ✓ დედაქალაქის ტერიტორიაზე, საკრებულოს მიერ დადგენილი ადგილისა და დროის დარღვევით ეკონომიკური საქმიანობის სატვირთო ავტომობილით (N_1, N_2 და N_3 კატეგორიები) მოძრაობა ან საქონლის მიწოდება;
- ✓ ავტობუსის (M_2-M_3კატეგორია) გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილების გარდა, სხვა ადგილას გაჩერება ან სხვა სახის ტრანსპორტის მიერ ავტობუსის გაჩერებაზე გაჩერება ან დგომა;
- ✓ დედაქალაქში ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა სამსახურის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობაზეც.

ბატონი სერგოს თქმით, პროექტი - **„შენი იდეა ქალაქის მერს“** არის, მერიის საქმიანობაში თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობის ჩართულობისა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხებზე ინიციატივების ონლაინ წარდგენის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ ქალაქის განვითარებაში. ბატონი სერგოს თქმით, აღნიშნულ პროგრამას კურირებს თავისი სამსახური, რომელიც ორგანიზებას უწევს შემოსული განცხადებების რეგისტრაციას და პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის შესაბამისი პროცედურების წარმართვას.

ბატონმა სერგომ ასევე ისაუბრა, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შესახებ და განმარტა, რომ კომისიას თავმჯდომარეობს თავისი მოადგილე. კომისია ადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტს და გასცემს შესაბამის ცნობას. კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა, როგორც სსიპ - სახელმწიფო სერვისებიდან გადმოგზავნილი, ასევე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შემოსული განცხადებები. მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კომისიის 51 სხდომა და მიღებული იქნა 122 დადებითი გადაწყვეტილება.

❖ მომხსენებელმა ისაუბრა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების მიერ შესრულებულ სამუშაოზე და განაცხადა, რომ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

მომხსენებლის თქმით, იურიდიულ საქალაქო სამსახურში მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორიებია:

- სამართლებრივი აქტები (მთავრობის განკარგულებები, მერის ბრძანებები);
- შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;
- შესყიდვები;
- ჯანდაცვა;
- ფინანსები
- არქივი

როგორც ბატონმა სერგომ განაცხადა, 2018 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, იურიდიულ საქალაქო სამსახურში შემოსულია - 3685 განცხადება. მათ შორის: სრულყოფილად დაკმაყოფილებულია - 2704 განცხადება, ხოლო, ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია - 17 განცხადება.

❖ მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ ინვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაზე და აღნიშნა, რომ 2018 წლის განმავლობაში, კომისიის მომსახურების განყოფილებაში, ჩატარებულია მნიშვნელოვანი და მოცულობითი სამუშაო.

მომხსენებლის თქმით, 2018 წლის განმავლობაში, თბილისის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში სულ შემოსულია 5841 განცხადება, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მომართვით გადმოგზავნილია - 5096 განცხადება, ხოლო, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში შემოსულია - 745 განცხადება.

როგორც ბატონმა სერგომ განმარტა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კომისიაში გადმოგზავნილი განცხადებების დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ პირობებს, რაც იმთავითვე, დაინტერესებული პირთა მოთხოვნაზე უარის თქმის

საფუძველია. ბატონმა სერგომ სააგენტოს მხრიდან გადმოგზავნილი განცხადებებიდან - ცარიელ მიწებთან დაკავშირებით გადმოგზავნილი განცხადებები გამოყო.

ბატონმა სერგომ იქვე დასძინა, რომ მიმდინარე ეტაპზე კომისიაში ფიქსირდება, ათი ათასამდე პირველადი განაცხადი.

ბატონი სერგოს თქმით, კომისიის სხდომები საშუალოდ იმართება კვირაში ორჯერ. მისივე თქმით, 2018 წელს ჩატარდა 54 კომისიის სხდომა და განხილულ იქნა 3342 განცხადება. კომისიის მიერ გამოიცა 1956 გადაწყვეტილება, განკარგულების სახით.

სერგო ბირკაძემ ისაუბრა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და განმარტა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით, განყოფილების მიერ განხორციელდა 2016-2018 წლებში დაგროვებული კორესპონდენციის **ინვენტარიზაცია და სისტემატიზაცია,** რის შედეგად:

- ✓ დაიხურა (ჩამოიწერა) 2016-2018 წლებში დასრულებული საქმეები;
- ✓ განხორციელდა 2016 წლის (საკრებულოს კომისიაში წარდგენილი) საქმეების იდენტიფიცირება;
- ✓ დაიხურა (ჩამოიწერა) დუბლირებული განცხადებები;
- ✓ განცხადებები დაჯგუფდა თემატურად და სისტემურად გადანაწილდა თითოეული თანამშრომლის პროგრამაში შექმნილ საქაღალდეებში.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ ინვენტარიზაციის შედეგების გათვალისწინებით, იგეგმება მიმდინარე განცხადებების განხილვის გეგმა-გრაფიკის შედგენა, რაც განაპირობებს როგორც განცხადებების ეფექტიანად და სწრაფად განხილვას, ასევე, გაამარტივებს მოქალაქეებთან კომუნიკაციას.

მომხსენებლის თქმით, გადადებული საქმეების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის მიზნით, შეიქმნა 2017-2018 წლის კომისიის სხდომებზე გადადებულ საქმეთა რეესტრი კატეგორიების მიხედვით და ეტაპობრივად ხორციელდება ასეთი საქმეების კომისიის სხდომებზე განსახილველად წარდგენა. აღნიშნულის შედეგად, სრულდება იმ საქმეების განხილვა, რომლებიც კომისიის საოქმო გადაწყვეტილებით გადადებული იყო განმცხადებლის გამოუცხადებლობის, საკითხის უკეთ შესწავლისა და სხვა მიზეზების გამო და რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება დღემდე არ იყო მიღებული.

ასევე, განხორციელდა მერიის შესაბამისი განყოფილებების მონაცემთა ბაზაში არსებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება, ყველა ასეთი აღსასრულებელი საქმე მომზადდა კომისიის სხდომაზე წარსადგენად, შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის განმარტებით, კომისიის სხდომის დღის წესრიგი გახდა დეტალური და სისტემატიზირებული და დღეის მდგომაროებით კომისიის სხდომაზე საშუალოდ ხორციელდება 100 საკითხის განხილვა. ასევე, შეიქმნა და დაიხვეწა კომისიის სხდომის ოქმის შაბლონი, მომზადდა და გამოიცა დაგროვებული ოქმები და განკარგულებები და შემცირდა ახალი ოქმებისა და განკარგულებების მომზადების დრო.

ასევე, გამოიცა დაგროვებული საკუთრების მოწმობები, შეიქმნა დახარვეზებული საკუთრების მოწმობების რეესტრი და ხორციელდება ღონისძიებები მოქალაქეების მიერ ხარვეზის ეფექტიანად და სწრაფად აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით.

ბატონმა ბირკაძემ აღნიშნა, რომ შეიქმნა შეხვედრების მოთხოვნით შემოსული (დაგროვებული) განცხადებების ერთიანი რეესტრი, მოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზებისა და ასეთი მოთხოვნების განულების მიზნით.

❖ რაც შეეხება, სასამართლოსთან ურთიერთობის მიმართულებას, **მომხსენებლის** თქმით, მერიასა და მთავრობას სასამართლოებზე წარმოადგენს იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება. ბატონი ბირკაძის განმარტებით, 2018 წელს განყოფილებაში შემოსული საქმეების რაოდენობაა - **550.** აღნიშნულ საჩივრებს შორის ჭარბობს, არქიტექტურის სამსახურისა და მუნიციპალური ინსპექციის მიმართ შემოსული საჩივრები.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ დღეის მდგომარეობით სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების წარმოებაშია 1 716 საქმე, ხოლო, 2018 წელს, სამსახურის მონაწილეობით ჩატარებულია 3454 სასამართლო სხდომა.

❖ **იურიდიული საქალაქო სამსახურის** უფროსმა, ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებაში შემოსული საჩივრების დიდ რაოდენობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ განყოფილებაში განსახილველად დარჩენილია 2017 წელს შემოსული საჩივრებიც. მისივე თქმით, განყოფილებაში გაზრდილია შტატების რაოდენობა და აღნიშნული კუთხით მიმდინარეობს თანდაყოლილი მუშაობა.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობაა - **1269.** ადმინისტრაციულ საჩივრებს შორის ჭარბობს, არქიტექტურის სამსახურისა და მუნიციპალური ინსპექციის მიმართ შემოსული საჩივრები.

დასასრულს, **ბატონმა ბირკაძემ** განმარტა, საანგარიშო პერიოდში გამოიცა 704 ბრძანება, ამათგან: საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე - 135, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე - 371.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **ნინო ლაცაბიძემ** აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური, შინაგანაწესით სტრუქტურული ერთეულია და საპასუხისმგებლო საქმეს ემსახურება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ქალბატონმა ნინომ, მადლობა გადაუხადა აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსთვის და როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, ისნის რაიონის მაცხოვრებლების სახელით, მომხსენებლის მიმართ გააჟღერა მოსახლეობისთვის აქტუალური რამდენიმე შეკითხვა.

ქალბატონმა ნინომ, დასაწყისისთვის, ისაუბრა მიწის დაკანონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაწეულ მასშტაბურ სამუშაოს გაუსვა ხაზი. ქალბატონმა ნინომ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გაიმართოს მოლაპარაკება გარკვეული ტიპის ცვლილებების განსახორციელებლად, რომლის შედეგად, სააგენტოდან კომისიაში აღარ გადაიგზავნება კანონთან შეუსაბამო განცხადებები მათ შორის, ცარიელ მიწებთან დაკავშირებით. მისივე თქმით, აღნიშნული ხელს შეუწყობს კომისიაში შესული განცხადებების სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირებას, ასევე, დადებითად აისახება კომისიის მუშაობის ხარისხზე იმ პირობებში, როდესაც კომისიის სხდომაზე საშუალოდ ხორციელდება 100 საკითხის განხილვა.

ნინო ლაცაბიძის თქმით, დაინტერესებულ პირთათვის აღნიშნული სერვისის მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა ადგილმდებარეობაზე, რაც იწვევს მოქალაქეების მხრიდან გაუგებრობასა და უკმაყოფილებას, ნინო ლაცაბიძემ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სერვისის გამარტივების მიზნით, სერვისის მიწოდება განხორციელდეს ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე.

ქალბატონმა ნინომ აგრეთვე გამოთქვა ინიციატივა, საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონული სერვისის დანერგვაზე. მისივე თქმით, აღნიშნული ფორმატი, მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

სერგო ბირკაძემ უპასუხა ნინო ლაცაბიძეს. ბატონმა სერგომ განმარტა, რომ ქალბატონი ნინოს მიერ დაყენებული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იურიდიული საქალაქო სამსახურისთვის და მადლობა გადაუხადა ნინო ლაცაბიძეს წარმოდგენილი მოსაზრების გაჟღერებისთვის. ბატონი სერგოს თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, შესაძლოა გახდეს მომავლის მსჯელობის საგანი.

როგორც იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ- **მარიამ კვერნაძემ** განაცხადა, განსახილველი საკითხების რაოდენობა, არ მოქმედებს კომისიის მუშაობის ხარისხზე. ქალბატონი მარიამის თქმით, განსახილველი საკითხების ოდენობისა და სამუშაო გრაფიკის მიუხედავად კომისიის წევრები ძალისხმევას არ იშურებენ საკუთარი ვალდებულებების პირნათლად შესასრულებლად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა**, ხაზი გაუსვა, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების მიერ შესრულებულ კოლოსალურ სამუშაოზე. ბატონმა ლევანმა ისაუბრა იურიდიულ საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის გაზრდის აუცილებლობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად იურიდიულ საქალაქო სამსახურს უნდა ჰყავდეს, საჭირო რაოდენობის, კარგად ანაზღაურებადი კადრი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - **ლევან ჟორჟოლიანი** დაინტერესდა, კომპანია „სი-ტი პარკთან" მიმდინარე დავის შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბატონი ლევანის თქმით, „სი-ტი პარკის"

წინააღმდეგ საერთაშორისო დავის არსებობის შემთხვევაში, თბილისის მერიას უნდა დაექირავებინა საერთაშორისო იურისტების ჯგუფი. ლევან ჟორჟოლიანი დაინტერესდა, განხორციელდა თუ არა მერიის მიერ აღნიშნული იურიდიული მომსახურების შესყიდვა. კომისიის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, „სი-ტი პარკის“ წარმომადგენელთან - კომპანია „ფრეშ ფილდთან,“ გამართული მოლაპარაკებების თაობაზე.

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მარიამ კვერნაძემ** უპასუხა კომისიის თავმჯდომარეს და განმარტა, რომ 2018 წლის 10 აპრილიდან, კომპანია ,,სითი პარკთან'' გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად მარიამ კვერნაძემ კომპანიის მხრიდან საჯარო უფლებამოსილებების არასათანადოდ შესრულება დაასახელა.

მარიამ კვერნაძის თქმით, კომპანია „სიტი პარკმა“ დედაქალაქის მერიის წინააღმდეგ ქართულ სასამართლოებში დაიწყო სამართლებრივი პროცედურები და აწარმოებს რამდენიმე დავას, მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, საკომპენსაციო თანხასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა მარიამმა იქვე დასძინა, რომ იურიდიული საქალაქო სამსახური ქართულ სასამართლოებში სრულყოფილად ახორციელებს წარმომადგენლობას და თავისი პოზიციის დასაცავად გააჩნია მყარი არგუმენტები.

როგორც **ქალბატონმა მარიამმა** განაცხადა, "სიტი პარკმა" თბილისის მერიის წინააღმდეგ ბრიტანული იურიდიული კომპანია "ფრეშ ფილდი" დაიქირავა. აღნიშნული კომპანია საერთაშორისო დავებთან დაკავშირებით მუშაობს და მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში სწორედ ის იქნება "სითი პარკის" წარმომადგენელი საერთაშორისო არბიტრაჟში. მარიამ კვერნაძის თქმით, კომპანია „სიტი-პარკი“ მიმდინარე ეტაპზე თავს იკავებს საარბიტრაჟო დავისგან და უშვებს მოლაპარაკებების შესაძლებლობას თბილისის მერიასთან.

ქალბატონმა მარიამმა კომისიის თავმჯდომარეს დაუდასტურა, რომ საერთაშორისო დონეზე თბილისის მთავრობის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, თბილისის მერიამ განახორციელა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების იურიდიული კომპანიისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვა, რომელიც მოიცავდა, შპს „სითი პარკთან“ პოტენციური საარბიტრაჟო დავის ჭრილში სამართლებრივი რისკების შეფასებისა და შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ქალბატონი კვერნაძის თქმით, აღნიშნული მომსახურების ფარგლებში კომპანიამ განახორციელა რამდენიმე მოლაპარაკება, თუმცა დღეის მდგომარეობით, გასულია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას ვადა, რომელიც გახლდათ 6 თვე.

დასასრულს, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ დასძინა, რომ ვინაიდან, კომპანია „სიტი პარკის“ მხრიდან კვლავ არსებობს საერთაშორისო არბიტრაჟისთვის მიმართვის ალბათობა, შესაძლებელია თბილისის მერიას კვლავ წარმოეშვას იურიდიული მომსახურების შესყიდვის საჭიროება.

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა მადლობა გადაუხადა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსსა და უფროსის მოადგილეებს მობრძანებისთვის და 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენისთვის. კომისიის თავმჯდომარემ, ხაზგასმით აღნიშნა იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოს მასშტაბურობა და ხარისხი და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია